

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N41 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე,
მოქალაქე თეიმურაზ დვალისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა სულხან-საბას გამზირი N41 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თეიმურაზ დვალის განცხადება /2013 წლის 14.06 Nდ-6405/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N41 საცხოვრებელი სახლი N27 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N41 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თეიმურაზ დვალს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N41 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე /საერთო ფართობი 63,14 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 36,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 27,14 კვ.მ./ მოქალაქე თეიმურაზ დვალის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე